სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

17 მარტი, 2026 წ.

ბრძანება №01-02/55

2025-2026 სასწავლო წლის გაზაფხულისა და 2026-2027 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის „ERASMUS +" **გაცვლითი პროგრამის** ფარგლებში ევროპის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში **საერთაშორისო მობილობაში** მონაწილე ბსუ-ს **აკადემიური/ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის გამოვლენის მიზნით**
კონკურსის ჩატარებისა და საკონკურსო კომისიის
დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „საერთაშორისო მობილობის ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 20 ოქტომბრის №06-01/131 დადგენილების, ბსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსის 2026 წლის 17 მარტის MES 6 26 0000324950 სამსახურებრივი ბარათის, ,,ბსუ-ს რექტორის მოადგილეთა ფუნქციების განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 12 აგვისტოს №01-02/155 ბრძანებისა და ,,ბსუ-ს რექტორის ტიტე არაშიძის 2026 წლის ანაზღაურებადი შვებულების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 05 მარტის №01-06/56 ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2025-2026 სასწავლო წლის გაზაფხულისა და 2026-2027 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის „ERASMUS +" **გაცვლითი პროგრამის** ფარგლებში ევროპის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საერთაშორისო მობილობაში მონაწილე ბსუ-ს **აკადემიური/ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის გამოსავლენად გამოცხადდეს კონკურსი და განისაზღვროს შემდეგი ვადები და კრიტერიუმები:**

1.1. კონკურსში მონაწილეობის მსურველთა მიერ საკონკურსო დოკუმენტაციის (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 20 ოქტომბრის №06-01/131 დადგენილებით განსაზღვრული) მიღება - **2026 წლის 17 მარტიდან - 2026 წლის 30 მარტის ჩათვლით, 15:00 საათამდე:**

ა)აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის მიერ - ელექტრონულად, საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის (eflow-ს) მეშვეობით;

ბ) მოწვეულ მასწავლებელთა პერსონალის მიერ - ელექტრონულ ფოსტაზე info@bsu.edu.ge მეშვეობით.

1.2. საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება და შეფასება - **2026 წლის 31 მარტსა და 01 აპრილს - 10:00 საათზე** (შემოწმებასა და შეფასებას დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით უზრუნველყოფს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური);

1.3. გასაუბრება კომისიასთან - **2026 წლის 02 აპრილს, 10:00 საათიდან;**

1.4. ბსუ-ში ჩატარებული კონკურსის შედეგად ნომინირებული **კანდიდატების შესახებ ინფორმაციის მიწოდება** მიმღები უნივერსიტეტისათვის - არაუგვიანეს **2026 წლის 07 აპრილისა.**

2. **დამტკიცდეს კომისიის შემადგენლობა:**

ა) ტიტე არაშიძე - თავმჯდომარე, რექტორი;

ბ) გიორგი ქათამაძე - თავმჯდომარის მოადგილე, რექტორის მოადგილე სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით;

გ) თამარ სირაძე - რექტორის მოადგილე საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით;
დ) ვლადიმერ ღლონტი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
ე) საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი - თამარ დუნდუა;
ვ) ნანა ყურშუბაძე - საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მთავარი სპეციალისტი - კომისიის მდივანი.
ზ) ნარგიზ ფალავანდიშვილი - ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი;
თ) ლელა თურმანიძე - ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანი;
ი) ნათელა წიკლაშვილი - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი;
კ) გაიოზ ფარცხალაძე - ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი;
ლ) თეონა ბერიძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;
მ) რუსუდან ხუხუნაიშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი;
ნ) ლევან ჯაყელი - იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი.
3. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის შესახებ განცხადების ტექსტი მომზადდეს ბსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მიერ და გაეგზავნოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს - ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებისათვის, ხოლო სასწავლო პროცესის დეპარტამენტს - ბსუ-ს პორტალზე განთავსებისათვის.
5. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და კომისიის წევრებს.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ№30).

ბსუ-ს რექტორის მოადგილე
სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით,
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი **გიორგი ქათამაძე**